



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ვ ა ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ბ ი ს ს ა კ რ ე ბ უ ლ ო
G E O R G I A
M U N I C I P A L I T Y C O U N C I L O F V A N I



განკარგულება:გ-65.65230392

თარიღი:08/02/2023

ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის, ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული,ქალაქ ვანში, თავისუფლების ქუჩაზე არსებული 16 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (სკვერი (ს/კ 31.01.26.426) აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 5 (ხუთი) წლის ვადით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერს (ა. გოგორიშვილს), ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ვანში, თავისუფლების ქუჩაზე არსებული 16 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (სკვერი (ს/კ 31.01.26.426) აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 5 (ხუთი) წლის ვადით გადაცემაზე.
2. წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით.
3. ვანის მუნიციპალიტეტის მერმა განახორციელოს აღნიშნული ქონების გადაცემა მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.
4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ.
5. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში, სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N1).

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

